



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### მსახურთუხუცესი

მსახურთუხუცესი, მეფეთა და მსხვილ ფეოდალთა სასახლეებში მყოფ მსახურთა (მოურავი, მანდატური, ქეშიკი, მეციხოვნე და სხვ.) უფროსი. **მ.** განაგებდა მეფის სასახლის დანესებულებებს: საწოლს (იგულისხმება საწოლი ოთახი და ის ოთახი, რ-შიც „უკაზმავი“ მეფე იმყოფებოდა), სალაროსა და საფარეშოს, ასევე მეფის დომენის ლაშქარს, სამეფო ციხე-ქალაქთა გარნიზონებს.

**მ**-ის დანიშნულება იყო მეფის პირადი სამსახური, დაცვა და სახელმწიფო საქმეების მოხსენება; სამხედრო სფეროში **მ**-ს დაკისრებული ჰქონდა მეფის „ტაძრეული სპის“ (მეფის კარის რაზმი) სარდლობა.

წყაროებში **მ**-ის თანამდებობა XII ს. ბოლოდან მოიხსენიება. სამეფო კარზე **მ**-ის აღზევება თამარის მეფობის დროს დაიწყო, რუსუდანის მეფობის დროს კი **მ.** სავაზროში შეიყვანეს. პირველი **მ.** ცნობილია „უგვარო“ აფრიდონის სახელით. თამარის პირველი ისტორიკოსი მას გიორგი III-ის მიერ „უგვაროდ“ და „აზნაურობის ყმობიდან“ „კაცქმნილს“, **მ**-ის „ხელის მფლობელობამდე ამაღლებულს“ უწოდებს.

სავაზროში შეყვანის შემდგომ **მ**-ს მეჭურჭლეთუხუცესის სწორი პატივი ჰქონდა და მასთან ერთად „ორთა ვაზირთა“ შემადგენლობაში შედიოდა. „წელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, დარბაზობისას მისი მიწვევა მესაწოლეთუხუცესს ევალებოდა; მეფედ კურთხევისას იგი დედოფლის, კათალიკოსისა და წყონდიდლის შემდგომ სავაზროს წევრთაგან რიგით უკანასკნელი სცემდა თაყვანს მეფეს. **მ.** მოლარეთუხუცესთან ერთად მონაწილეობდა მეფის შემოსვა-შეკაზმვაში. ვაზრობის დროს იგი მეჭურჭლეთუხუცესის გვერდით იჯდა, პურობაზე კი – საწოლის მწიგნობრის გვერდით.

გვიან შუა საუკუნეებში მ-ის ფუნქციები ყორჩიბაშმა შეითავსა.

წყარო: ა ნ თ ე ლ ა ვ ა ი., საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII საუკუნეებში, თბ., 1983; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული სამართლის ისტორია თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 7, თბ., 1984.

**ი. უჭმაჭურიძე**

---